საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/18

ქ.თბილისი

" 09 " ნოემბერი 2018 წ.

"საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებს შორის საკურატორო სტრუქტურული ერთეულების განაწილების შესახებ" კომისიის 2015 წლის 06 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების" მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის დ) ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებს შორის საკურატორო სტრუქტურული ერთეულების განაწილების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") 2015 წლის 06 ივლისის N6/19 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. კომისიის წევრებს შორის საკურატორო სტრუქტურული ერთეულები განაწილდეს შემდეგნაირად:
ა) ვახტანგ აბაშიძე, კომისიის წევრი - მაუწყებლობის სფეროს განვითარების, სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის, ასევე, მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებები;
ბ) ელისო ასანიძე, კომისიის წევრი – სამართლებრივი უზრუნველყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე ნუმერაციის რესურსის მართვის, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის მიმართულები;
გ) გიორგი ფრუიძე, კომისიის წევრი – ელექტრონული კომუნიკაციების სტრატეგიული განვითარების, ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობის, კონკურენციის ხელშეწყობის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების მიერ სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის მიმართულებები;
დ) მერაბ ქათამაძე, კომისიის წევრი – რადიოსიხშირული რესურსის მართვისა და კოორდინაციის, რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის პირობების მონიტორინგის, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების განვითარების, ასევე, კომისიაში ქსელური ინფრასტრუქტურის აპარატურული პლატფორმის განახლების, მათ შორის ქსელის უსაფრთხოების ამაღლების და სარეზერვო კოპირების სისტემის უზრუნველყოფის მიმართულებები";

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებზე საკურატორო უფლებამოსილების ვადა განესაზღვროთ 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით";

2. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ზახი ბექაური